საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მთქმელი

მთქმელი, ხალხური სიმღერის დამწყები, უმეტესწილად მეორე ხმის შემსრულებელი. მ-ის ცნების გაგება გამოხატულია იოანე საბანისძის "წმინდა აბოს წამებასა" და რუსთაველის "ვეფხისტყაოსანში". ტერმინი პირველად ი. ბატონიშვილის "კალმასობაში“ და მისსავე "მუსიკის მოკლე სახელმძღვანელოში“ გვხვდება. ავტორს მ. მიაჩნია შუა ხმად: "სამხმიან გალობათა შინა ხმა არს: მთქმელი, მაღალი ბანი ანუ მოძახილი და ბანი ანუ მობანე". ს.-ს. ორბელიანის განმარტებით, მ. "თქმის მოქმედი", ანუ მთხზველი, ხალხ. ნაწარმოების შემსრულებელია. დ. მაჩაბლის აზრით, "დღესა ყოველსა საქართველოში გალობენ სამს ხმად: თქმად, მოძახილად და ბანად. რომელთაგან... თქმა იწყებს". ქართ. საგალობელში მ-ს ზედა, კანონიკური მელოდიის მატარებელი ხმა ეწოდება. მ. (მათქვამი, მეგრ. - მათქუალი, ლაზ. - მთქუმალე, სვან. - მუქვისგ) ფოლკ. ნაწარმოების შემსრულებელსაც აღნიშნავს. მ-ის ცნებას მრავალმხრივი დატვირთვა აქვს: "როცა ადამიანს სურს შეიტყოს ღირსება და დიდება ერისა, ყოვლით უწინარეს ამას იკითხავს, - რამდენი მთქმელი და მწერალი ჰყავსო" (ი. ჭავჭავაძე).

ლიტ.: ა რ ა ყ ი შ ვ ი ლ ი დ., ქართული მუსიკა, თბ., 1925; ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი მ. ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, ტ. 1, თბ., 1975; ჭ ე ლ ი ძ ე გ., წყაროსთვალი, თბ., 1974.